

5 ეტაპი სრულყოფილი აგრობიზნესის დაწყებისთვის

ბოლო პერიოდში, ბიზნესსექტორისთვის სოფლის მეურნეობის ინდუსტრია მიმზიდველი მიმართულება გახდა. როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, არაერთი ფიზიკური თუ იურიდიული პირი ცდილობს, ამ სფეროში საკუთარი თავი და შემოსავლის წყარო იპოვოს. ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი პანდემიის შემდგომ პერიოდში გახდა. რუსეთ-უკრაინის ომის გამო გამოწვეულმა სასურსათო კრიზისმა კი სოფლის მეურნეობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა. საბოლოოდ, ეს სექტორი ქვეყნების უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გადაიქცა.

ისევე, როგორც ყველა სხვა საქმიანობაში, სოფლის მეურნეობის ოპერირებისასაც არსებობს „ოქროს წესები“. „აგრო სოლუშენს ჯგუფი“ გვიყვება იმ ხუთ ეტაპზე, რომელიც აუცილებლად უნდა გავიაროთ წარმატებული აგრობიზნესის წამოწყებისთვის.

სამიზნე სექტორის დეტალური შესწავლა

საქმიანობის დაწყებამდე, აუცილებელია, განსაზღვროთ, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის რომელ მიმართულებაში გსურთ ოპერირება და რამდენად შეძლებთ გამკლავებას. იგულისხმება როგორც ფინანსური, ისე - ინტელექტუალური რესურსები. გარდა ამისა, უნდა შეაფასოთ არსებული ბაზარიც, ანუ, რა რაოდენობით არის სასურსათო ბაზარზე ის პროდუქტი, რომლის წარმოებასაც თქვენ აპირებთ. ამ ინფორმაციის მისაღებად, ცხადია, ბაზრის კვლევა და ანალიზი დაგჭირდებათ. შედეგები, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მიხედვით, აუცილებლად განსხვავებული იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ინტელექტუალური რესურსების მოძიებაა. საქმიანობის ყველა ეტაპზე საჭიროა პროფესიონალი კადრების ჩართულობა და სპეციალისტების გუნდის ჩამოყალიბება.

მიწის ნაკვეთის შერჩევა მიზნობრიობის მიხედვით

პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, შესაბამისი მიწის მოძიების პროცესი იწყება. უნდა განისაზღვროს ნაკვეთის პოტენციალი და მისი თანხვედრა თქვენს ბიზნესმოდელთან. იმისათვის, რომ თქვენმა ინვესტიციამ გაამართლოს, აუცილებელია ნაკვეთის აგროტექნიკური შეფასება. ეს საშუალებას მოგცემთ, განსაზღვროთ ნაკვეთის შესაბამისობა თქვენს აგრო საქმიანობასთან, შეაფასოთ რისკები და დაახლოებით

განსაზღვროთ ამ რისკების შემცირების გზები. რადგან მიწა სოფლის მეურნეობაში პირველადი რესურსია, მნიშვნელოვანია მისი პარამეტრები, როგორცაა სტრუქტურა, ქიმიური და მექანიკური შემადგენლობა. ამასთან, ამავე ეტაპზე უნდა ვიცოდეთ, რამდენია კულტივირებადი ფართობის წილი ჩვენი ნაკვეთის მთლიანი ფართობიდან. ეს სწორი პროექტირების წინაპირობაა.

ბიზნესგეგმის მომზადება

მესამე საფეხური უკვე კონკრეტული ბიზნესგეგმის მოდელის შექმნაა. განსაზღვრეთ, რა კაპიტალი გჭირდებათ მომავალი საქმიანობისთვის. დარწმუნდით, რომ საკმარისი რესურსები გაქვთ საქმის დასაწყებად და, რაც ყველაზე მთავარია, მის შესანარჩუნებლად. ხშირად, აგრობიზნესის წარუმატებლობა საქმიანობის აქტიურ პროცესში, სწორედ რესურსების უკმარისობითაა გამოწვეული.

ბიზნესგეგმაში გაწერილი უნდა იყოს საოპერაციო ხარჯები, ყოველწლიური შემოსავლები, ფულადი ნაკადების მოძრაობა და დრო, როდესაც ნულოვანი მოგების წერტილს მიაღწევთ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ სწორი სტრატეგიის განსაზღვრასა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილებაში.

ნაკვეთის ზუსტი პროექტირება

იმისათვის, რომ ნაკვეთი ოპტიმალურად ავითვისოთ, აუცილებელია ნაკვეთის დეტალური აგრონომიული და საირიგაციო პროექტირება. ზუსტი სოფლის მეურნეობის პრინციპებიც სწორი პროექტირებისა და სარწყავი წყლის რესურსების გონივრულ მენეჯმენტს გვასწავლის.

აგრონომიული პროექტირება საშუალებას გვაძლევს, დეტალურად განვსაზღვროთ შემდეგი საკითხები: საპროექტო ტერიტორიის საზღვრები, მცენარეთა გაშენების სქემა სექტორების მიხედვით, შიდა გზები, ქარსაცავი და ა.შ. საირიგაციო პროექტირება კი საჭირო წყლის ოდენობის დეტალურ განსაზღვრას, სისტემის სწორი პროექტის შედგენას (მაგისტრალური და ქვემაგისტრალური მილები, საფერტიგაციო ცენტრი, ფილტრაციის და სატუმბი სადგურები), რეზერვუარისთვის ოპტიმალური ტერიტორიის შერჩევას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ითვალისწინებს.

ხარისხიანი მასალა და ნედლეული

არ აქვს მნიშვნელობა, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის რომელ მიმართულებას ირჩევთ, იქნება ეს მეცხოველეობა, თუ მიწათმოქმედება ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ხარისხზე ორიენტირება. შეიძინეთ ხარისხიანი, სერტიფიცირებული სანერგე და სათესლე მასალები, ჯიშისანი პირუტყვი, ხარისხიანი ნედლეული და ა.შ.

ერთი შეხედვით, შესაძლოა სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართვა მარტივად გვეჩვენება. სინამდვილეში კი წარმატებული აგრობიზნესი ცოდნასა და სწორ ინვესტიციაზეა დამყარებული. მნიშვნელოვანია, მომავალ ფერმერს წინასწარ ჰქონდეს გაწერილი და გააზრებული აგრო სექტორში ოპერირებისთვის საკვანძო საკითხები. შედეგად, გაღებული ინვესტიცია გამართლებული იქნება, წარმოება კი - წარმატებული და მოგებიანი.

როგორ მივიღოთ მეტი მოსავალი ნაკლები ხარჯით

ნაკლები ხარჯით მეტი მოსავლის მიღება სწორი ინვესტიციით ოპტიმალური შედეგის მიღწევას ნიშნავს. სოფლის მეურნეობის სფეროში, ყველა არასწორი გადაწყვეტა, მომავალში დიდი დანახარჯების მიზეზი ხდება.

ისევე, როგორც სხვა სექტორებში, აგრო ინდუსტრიაშიც მნიშვნელოვანია, რომ ცოდნასა და ხარისხში თანხა არ დაიზოგოს. ხშირად, რთულია გაუძლო ცდუნებას და უარი თქვა ბიუჯეტურ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, აგრო ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია სფეროს პროფესიონალი კადრების გამოცდილების გამოყენება და პროექტში ინტეგრირება. ეს გზა ამარტივებს რისკების პრევენციას.

ბევრი ფერმერი თანამედროვე მიდგომებსა თუ ტექნოლოგიების გამოყენებას ფუფუნებად მიიჩნევს. რეალურად კი, სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი ძალა ცოდნაა. ეს, უმეტეს შემთხვევაში, იმაზე იაფი ჯდება, ვიდრე ფერმერს წარმოუდგენია. როცა იცი, როგორ მართო ნაკვეთი, იყენებ ტექნოლოგიებს, იღებ ინფორმაციას და შეგიძლია მისი ანალიზი, იღებ სასურველ მოსავალს.

ხარისხში ჩადებული ინვესტიცია გრძელვადიანია და ის აუცილებლად ამართლებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანერგე და სათესლე მასალების ხარისხი. თუ სანერგე და სათესლე მასალაში ფერმერი თანხას დაზოგავს, ის სოფლის მეურნეობის სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს არღვევს.

ნიადაგის ნაყოფიერება, წყლის რესურსის ხელმისაწვდომობა, კლიმატური პირობები და მავნებელ-დაავადებების მართვა ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ამ ფაქტორებიდან რომელიმე ერთის, ან თუნდაც, რამდენიმეს ხარვეზმა, შესაძლოა მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვიოს. ბიზნეს გეგმის ეტაპზე, ფერმერმა უნდა დაგეგმოს მომავალი საქმიანობა, რათა ამ ოთხი კომპონენტიდან ნებისმიერი ცალკე და ყველა ერთად, შესაბამისობაში მოდიოდეს კულტურის მოთხოვნილებასთან. სწორედ ამ მიმართულებით შემოდის პროცესში აგრონომიული და საირიგაციო პროექტირების მნიშვნელობა, რაც აუცილებელი პირობაა პროექტის ფარგლებში არსებული სამუშაოების შესასრულებლად. დაზღვეულია რისკები, განსაზღვრულია ყველა რელევანტური ფაქტორი და საბოლოოდ, პროექტის წარმატების

ალბათობაც იზრდება.

აგრობიზნესის დაწყება ბაზრის კვლევის გარეშე ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავრცელებული შეცდომაა. ბოლო წლების ტენდენციებზე დაკვირვებით იკვეთება, რომ საქართველოში პერიოდულად ერთი კონკრეტული კულტურა ხდება პოპულარული და შედეგად, ყველა ამ ე.წ. პოპულარული კულტურის წარმოებას იწყებს. შესაბამისად, მიწოდება მოთხოვნაზე გაცილებით დიდია. ეს კი ფასის ვარდნას იწვევს. საბოლოოდ, ფერმერებს რეალიზაციის პრობლემა ექმნებათ და ხშირად უფუჭდებათ კიდევ მიღებული მოსავალი. ბაზრის კვლევა ეხმარება ფერმერს, გაარკვიოს, ფინანსურად რამდენად ოპტიმალურია სასურველი კულტურის წარმოება. თუ რეალიზაციის პრობლემები რეალისტურია, უპრიანია გადაეწყოს სხვა, უფრო დეფიციტურ კულტურაზე, ან წარმოებასთან ერთად, პროდუქციის ხანგრძლივად შენახვის გზებზეც იფიქროს.

აგრობიზნეს გეგმაში არასრულფასოვნად დათვლილი ხარჯები ბარიერებს ქმნის საქმიანობის დაწყების პროცესშივე. როდესაც წინასწარი კალკულაცია სცდება რეალურ დანახარჯებს, ფერმერს უწევს სხვადასხვა მოწყობილობებსა და ოპერაციებში თანხების დაზოგვა. ეს კი, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება წარმოების ხარისხზე. ამის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია, წინასწარ შემუშავდეს ბიზნეს მოდელი, შედგეს რეალური საინვესტიციო გეგმა და ნაკვეთი სრულფასოვნად დაპროექტირდეს.

დამწყები ფერმერებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევაა, დანერგონ ზუსტი სოფლის მეურნეობის პრინციპები მათ ფერმაში. ჭკვიანი სოფლის მეურნეობა ოპტიმალური დანახარჯებით, მაქსიმალური მოსავლის მიღების საუკეთესო საშუალებაა.